

იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაბილიზაცია და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია (SIIMS)

დონორი: ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი: ქვა ნორვეგია, სამოქალაქო განვითარების სააგენტო, საქართველო

ბიუჯეტი: 3.2 მილიონი ამერიკული დოლარი

ხანგრძლივობა: 2009 წლის ივლისი - 2014 წლის თებერვალი

სფეროები: კონფლიქტის პრევენცია და უსაფრთხოება, ჩართულობა და სამოქალაქო საზოგადოება, გენდერი

გეოგრაფიული არეალი: იძულებით გადაადგილებულ პირთა 24 დასახლება შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში, საქართველო.

სამიზნე ჯგუფი: კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოება, იზოლირებული საზოგადოება, ახალგაზრდები (16-31) და ქალები

მიზანი: პროექტი 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების სტაბილიზაციასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრირებას არის ორიენტირებული და მიზნად ისახავს შიდა ქართლსა და ქვემო ქართლის დევნილთა ჩასახლებებში მცხოვრები 10 ათასი “ახალი” იძულებით გადაადგილებული პირის ინტეგრაციას მეზობელ თემებთან და ადგილობრივ მთავრობასთან. პროექტმა განახორციელა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიება, რამაც ხელს შეუწყო კონფლიქტების თავიდან აცილებასა და სამიზნე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

პროექტი ორი ეტაპისგან შედგებოდა. პირველ ეტაპზე, დევნილი მოსახლეობის ადგილობრივ თემებში ინტეგრირების უზრუნველსაყოფად, პროექტის ღონისძიებების გატარება ხუთი თემატური მიმართულებით დაიგეგმა: შემოსავლების გენერირება, ინფრასტრუქტურის განვითარება, ადგილობრივ მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობა, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ფსიქო-სოციალური დახმარება და ცნობიერების ამაღლება.

პროექტის პირველი ეტაპის განხორციელებისას შემდეგი შედეგები იქნა მიღწეული:

- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებით მომსახურების სქემის დანერგვა მოხდა 8 დევნილთა ჩასახლებაში და შეიქმნა 8 ახალი

მექანიზატორთა ჯგუფი, რომლებიც მომსახურეობას უწევენ როგორც დევნილ, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას;

- გაიცა 84 გრანტი ქალთა ბიზნესის მხარდასაჭერად, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებასა და საზოგადოებაში ქალთა როლის გაძლიერებას;
- შეიქმნა 69 ახალი სამუშაო ადგილი “გრანტები სამუშაოსათვის” სექტორის ფარგლებში;
- დაფინანსდა 36 სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და განვითარების პროექტი დევნილთა და ადგილობრივი თემების ერთობლივი საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად;
- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით განხორციელდა 15 სამოქალაქო პროექტი, რომლებიც ორიენტირებულია დევნილთა ინტეგრაციასა და თემის განვითარებაზე;
- განხორციელდება ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის პროექტები, რომლითაც ისარგებლა 2000-ზე მეტმა დევნილი ბავშვმა და მოზარდმა. დაფინანსდა 15 სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი.

პროექტის მეორე ეტაპი ”აქტიური მოქალაქეები დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტისთვის” მიზნად ისახავდა დევნილთა დასახლებებში სათემო ორგანიზაციების უნარების გაძლიერებას, რათა ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და მთავრობა გამხდარიყო მეტად ანგარიშვალდებული მათი ინტერესების მიმართ და ადგილობრივ და ცენტრალური მთავრობების მიერ მომხდარიყო დევნილთა საჭიროებების გათავისება და არსებული პრობლემების გადაწყვეტილებების გზების ერთობლივი ძიება.

პროექტის მეორე ეტაპის განხორციელებისას შემდეგი შედეგები იქნა მიღწეული:

√ პროექტის სამიზნე დევნილთა ჩასახლებებში შეიქმნა 15 სათემო ორგანიზაცია, რომლების წევრთა საერთო რაოდენობა 87 ადამიანს შეადგენს;

√ 2013-2014 წელს შემუშავებულ და განახლებულ იქნა 15 სათემო განვითარების გეგმა, რომლებიც დევნილთა ჩასახლებებში არსებულ პრიორიტეტულ საჭიროებებს ასახავენ;

√ სათემო ორგანიზაციებმა ისწავლეს თუ როგორ მოახდინონ პრობლემების იდენტიფიცირება და პრიორიტეტების გამოკვეთა, ასევე თუ როგორ მიმართონ შესაბამის სამთავრობო ორგანოს და მოითხოვონ მათგან დევნილთა ჩასახლებებში არსებული პრობლემების მოგვარება;

√ ადვოკატირების პირველ ეტაპზე სათემო ორგანიზაციებმა მუნიციპალიტეტებში წარადგინეს 15 თემის განვითარების გეგმა. გეგმები შეიცავდა დევნილთა

საჭიროებების ამსახველ 88 პრიორიტეტულ პროექტს, რომელთაგან 31% დაფინანსდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და ცენტრალური ბიუჯეტის მიერ. მეორე ეტაპზე წარდგენილი 72 პრიორიტეტული პროექტიდან კი 43% დაფინანსდა.

პროექტის შეფასების დროს ქეამ სხვადასხვა მეთოდი გამოიყენა მიღწევების, დანახარჯების ეფექტიანობის და პროექტის სხვა კომპონენტების მდგრადობის შესაფასებლად. SIIMS პროექტის მეშვეობით მოხდა იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროების პერსპექტივების გაძლიერება და განვითარების მდგრადი მოდელების შემუშავება. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, ქეა საერთაშორისო კავკასიაში თვლის, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი როგორც მთავრობის, ასევე საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოების ინტეგრაცია, სიღარიბის შემცირება, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, შემოსავლის წყაროების შექმნა და განვითარება, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, უნარ-ჩვევების განვითარება, სამოქალაქო უფლებები, საქართველო, აფხაზეთი, ოსეთი, ქართლი.